

ივერია

გაზეთის დასაყვეთად და გერძო განცხადებ-
ათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თეიმონ
რედაქციას, ანალო-ბეზუთოვის ქუჩაზედ, სან-
ლი № 9, შავერდოვი ს საგაზეთოს, ცენტრალ-
ურს ჭ გრიქოროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ათა-ფინანსოვის უმის ბაჟო, უმე-
დვი ნოვარი ბაჟოვა შაბათს ვის-
ბაის.

კამეორებით ვაცხადებთ სა-
ეოველთაოდ, რომ ვისაც მსო-
ლოდ 5 მანეთი აქვს შემოტა-
ნილი და მაისის დამდეგს და-
ნარჩენი სუთი მანათიც არ წა-
რძობადგანა, — გაზეთის ცხადება
მოკლნო. (10—2)

დანიშნული 22 მაისს სა-
ცხადებო კრება
**ქართული
დრამატული
სამაგდობის**
1
ედილი კვირისთვის, 1
ივნ., დილის 11 სათ. (ან-
წინისეულ თეატრში).

ბანახადება.
25-ს ამ მაისს დანიშნული მო-
რივი კრება „ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოებისა“ არ შესდგა, რად-
განაც კანონიერი რიგები მწევრთა
არ შეიკრიბა და ამიტომაც დანიშ-
ნულ იქმნა ამ მორივი კრებისა-
თვის მეორე ვადა 3-ს ივნისს, სა-
დამოს შვიდს საათზედ, არწრუნი-
სეულს თეატრში.

ველეტონი

გურულების უმთავრესი საქმის შეა-
დგენს ხენა-თესვა, ანუ უკეთ რომ
ესთქვათ, თონხა-თესვა. მაგრამ სანამ
ამაზედ ვიტყვოდეთ რასმე, საქირა
გავაწროთ მკითხველს ჯერ აქაური
სახნავ-სათესი მიწა-ადგილი. — ყველამ
კარვად იცის, რომ გურია მთიან-ტყიანი
ქვეყანაა. აღმოსავლეთის მხარეს იწ-
ყება ორი მთა; პირველი არის აქა-
რა—გურიის მთა და მეორე ფარსმის
მთის გაგრძელება, რომელსაც გურია-
ში უწოდებენ ნიგოთის ქედს. ეს
მთები ორმოცი ვერსის მანძილზედ
სულ ორის-სამის ვერსით არ არიან
ერთმანეთზე დაშორებულნი, მაღალი
წვერები ერთმანეთს მოპირდაპირედ
უდგანან, ტოტები-კი ერთმანეთზედ

ტფილისი, 28 მაისს

რამდენსაც ტყეში შორსა და შიგ-
ნით შესდინართ, ამბობს რუსული
ანდაზა: იმოდენად უფრო მეტი
შემსაო. სწორედ ესე მოგვდის
ჩვენც ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის წე-
რილის გამო: რამდენსაც მეტს
გუკვირდებით მის ნათქვამს, მით
უფრო მეტს ბარდებსა ვპოვუ-
ლობთ.

ჩვენ რომ ჩვენს სესხა 10 და
12%-ს ვაწადვიებთ; ვუბნება ჩვენს
ბანკებს ბ-ნი ყიფიანი: ისინი კი (ესე იგი,
ისინი, ვისგანაც ბანკები სესხულობენ) 6%
გვეჯერდებიან... და სხვანი.

მტკნარი უცოდინარობა იმის
მხრით, ვინც ამას გულ-დაჯერებით
იტყვის. ბოდიშს ვინდით მკითხვე-
ლებთან, რომ ძალა-უნებურად
გვაძიულდებენ სიტყვა გავაგრძე-
ლოთ და ანბანი საადგილ-მამუ-
ლო კრედიტისა გადავავითხოთ.
ბი რა ვერ გაუგია ბ-ნ დიმიტრი
ყიფიანს: სიძვირე თუ სიიფე კრე-
დიტისა საზოგადოდ ორის სავანის
რაოდენობით გამოიხატება. ამ ორს
სავანში ერთი ცვალებადია და მე-
ორე უცვლელი. თავსა რომ
A დავარქვათ, სარგებელს B და
სიძვირეს კრედიტისას X, ჩვენი
აზრი ამ ფორმულით გამოითქმის:
 $B \times 100 = X$.

ყველამ ვიკით რომ ესეხი,
ესე იგი, კრედიტი ხან იფეია,
ხან ძვირი. მაშასადამე ჩვენს
ფორმულაში X მუდამ ცვალება-
დია. რომ ეს უეჭვადი ცვალება-
ლობა X-ისა გამოიხატოს, ამისა-

გადახლართულ-გადამბულია. ამ მთე-
ბის დაყოლებაზე მოქცეულ სურების
საზოგადოებას თავზედ ცისარტყელა-
სავით დასცქერის ვიწრო ზოლი ცი-
სა. ძირს დაჭრილ ლომსავით მიღრია-
ლებს მდ. სუფსა. სურების საზოგა-
დოებიდამ დაწყობილი ეს მთები
თან-და-თან განზედ იწევიან, ერთმა-
ნეთს შორდებიან და პირველი სომ-
ხეთ დასავლეთისაკენ მიდის ჩოლო-
ქამდის; მეორე კი იხრება ჩრდილოეთ-
დასავლეთისაკენ და თითქმის შე-
ზღვამდის მიახწევს. ამ ნაირად მთე-
ბის მდებარეობა გურიას ორ-თითის
სახეს აძლევს. ამ მთების დამგებულ
კალთებზედ დასახლებულია ორი
მესამედი ნაწილი მთელის გურიის
მცხოვრებლებისა, რადგანაც აქ ადგი-
ლიც ამდენადვე მეტია, ვიდრე ვაკე გუ-
რიაში. მთიან გურიაში კაცი ვერ ნანახს
ნახევარ ვერსის სიგრძე-სივანზე ვაკე
ალაგს; იშვიათია აგრეთვე იქ რამო-
დენიმე საყენი უტყეო ადგილი. სო-
ფელი ამ ნაწილში ისეთ მიუღვამელ
ადგილას არის გაშენებული, რომ
კაცსაცა და პირუტყვსაც უძნელდება
თავისუფლად სიარული.

გურიის ამ გვარ გეოგრაფიულ
მდებარეობას მოსდევს ორი შედეგი:
პირველი, — სახნავ-სათესის მიწის ნა-

თვის საჭიროა A და B შორის,
ესე იგი, თავსა და საგებელს შო-
რის ერთ-ერთი იცვლებოდეს და
მეორე უცვლელი იყოს. მოკლე
ვადიანი კრედიტი, როგორც
არის, მაგალითებრ, საკომერციო
ბანკის კრედიტი ამ ორს სავანში
თავსა უცვლელივად ჰქვდის, და
მაშასადამე კრედიტის სიძვირის გა-
მოსახატავად მეორე სავანს, ესე
იგი, სარგებელს უნდა სცვლიდეს.
ესეც არის: საკომერციო ბანკი
თავსა უცვლელივად ახს-ასზედ ანგა-
რიშობს და სარგებელს კისცვლის,
ხან შვიდია, ხან რვა, ხან ცხრა და
მეტრია.

სადგილ-მამული კრედიტში
კი სარგებელი, რაც არის, უც-
ვლელია, მაგალითებრ, ტფი-
ლისის ბანკისა სულ მუდამ 6%-ია.
მაშასადამე, ამ შემთხვევაში სიძვირე
კრედიტისა რომ გამოიხატოს,
თავსა უნდა ხან აიწიოს, ხან დაი-
წიოს. ესეც არის: ჩვენს გირავ-
ნობის ფურცელს ასზედ ექვსი
სარგებელი აქვს. როცა ფული
ძვირია, ამ ასზედ ექვს არა ჰქმა-
რობს ფულის მსესხებელი და
რადგანაც სარგებელი გირავნობის
ფურცლისა უცვლელია, თავსა
სცვლის იმის კვალობაზედ რამო-
დენის სარგებლის ადებაც უნდა,
ხან ათს თუმანი ფურცელში რვა
თუმანს იძლევა, ხან ცხრას, ხან
მეტს, ხან ნაკლებს. როცა ათის
თუმანს გაცემა, მაგალითებრ, შვიდ
და ათ მასურად უნდა, მაშინ ათ
თუმანს გირავნობის ფურცელში
რვა თუმანს აძლევს, იმიტომ რომ,

კლებულობა და მეორე, მიწის შემუ-
შავების სიძნელე. ერთი ქცევა (მესა-
მედი დესიანისა) სათესი მიწა ჩვენ-
ში ხშირად 30—40 თუმანად ფა-
სობს. დიდა აქ ღალაცა: სანახევროდ
აღებულ მიწიდგან შესახვედრი წილი
მოკლემ მიწის პატრონს შინ უნდა
მიუტანოს. თუ ღალა ფულად არის
ნანაგარიშევი, ქცევაში 10—25 მანა-
თამდის უნდა იხადოს კაცმა ყოველ-
წლობით. ღალა მიწის ღირსებაზე
დამოკიდებული ან და იმაზე, თუ რა
ითესება. საღალა მიწები მარტო ვა-
კე გურიაშია და ეკუთვნის მთლად
თავად-აზნაურობას. შორეულის მთე-
ბიდგან მოდიან აქ გლეხები სამუშა-
ოდ და მთელს ზაფხულის განმავლო
ბაში ორჯელ-სამჯერ ძლიეს-ლა ელირ-
სებათ ხოლმე თავიანთ მთების ნახვა.
მთებში თუმცა მოდის კარგი მოსავა-
ლი, მაგრამ ვერ იფარავენ თესვა-მა-
რგლის დროს თავგებისაგან, და შემო-
სელის დროს დათვებისაგან.

მიწის შემუშავებაც ჩვენში ხეირია-
ნად არ იცინა. ვაკე გურიაში ხმარე-
ბაშია ცალ-უღელა კავი, რომელიც
უსწორ-მასწორად სჩიქნის ხოლმე
ნიადგის ზემო თხელ-პირსა. მთიან
გურიაში ამ უხეირო კავის ხსენებაც
არ არის, რადგანაც ამ მიუღვამელ

ჩვენის ფორმულისამებრ, $6 \times 100 =$
 $7 \frac{1}{2}$. როცა ფულის მსესხებელი
სჯერდება მარტო 6%, მაშინ ათს
თუმანი გირავნობის ფურცელში
ათ თუმანს ნაღდს ფულს იძ-
ლევს.

ამ სახით, საკომერციო ბანკი ბა-
ზარში გადის და იძხის ათის თუმ-
ანის ნაღდის სესხება მიწდა, რა
სარგებელს დამჯერდებითო. ამის
პასუხად ფულის ბაზარი ეუბ-
ნება ხან 7%, ხან 8%, ხან მეტს,
ხან ნაკლებს. საადგილ-მამული
ბანკი კი გადის და იძხის: ექვს
ნაღდს მანათს გვირდებით სარგე-
ბელსა და რამოდენა თავს მამ-
ცემითო. პასუხად ბაზარი ეუბნება
ხან 80 მანათს, ხან 85, ხან 90, ხან
მეტს, ხან ნაკლებს და ეს პასუხი
ბანკის გირავნობის ფურცლების
ფასით გამოითქმის ხოლმე. მაშა-
სადამე, კაცმა რომ სთქვას ისინი,
ვისგანაც ბანკები ფულებს სესხუ-
ლობენ, 6% გვეჯერდებიანო, ისიც
უსათუოდ უნდა სთქვას, რომ ჩვე-
ნის ბანკების ათ თუმანი გირავ-
ნობის ფურცელი ათს თუმანს ნაღდ
ფულად გადის.

ესელა ვკითხოთ ბ-ნი ყიფიანს, ვა-
უწუოს, — როდის უოფილა იმისთა-
ნა ბედნიერი დრო, რომ ჩვენის გი-
რავნობის ფურცლის ათს თუმანში
ათი თუმანი ნაღდი ფული ეძლიოთ?
თავის დედაში არა უოფილა, თა-
ვის დედაში ჩვენის ბანკების გირავ-
ნობის ფურცელი ათ თუმანში
97 მანათს ზევით არ ასულა. თუნდ
რომ ეს შემთხვევაც ავიდოთ, მაინც
კიდევ შეცდომაა კაცმა სთქვას, რომ

ისინი, ვისგანაც ჩვენი ბანკები ფულ-
სა სესხულობენ, 6% გვეჯერდებიან,
იმიტომ-რომ ექვსს მანათს წელი-
წადში 97 მანათში გვეჯერდებიან და
არა ათს თუმანში. ზემო აღნიშნუ-
ლი ფორმულა ამოქმედეთ ამ შე-
მთხვევაში და ამას ცხადად დაინა-
ხავთ.

ეს შეცდომა კიდევ არაფე-
რია. ბევრს ზიანს არ მოიტანს,
იმიტომ-რომ აქ ციფირი თავის
უტყუარს განაჩენს იტყვის, რაც
უნდა საქმე ჰქლართონ. სამწუხა-
რო და ყოვლად შეუწყნარებელია
იმისთანა უმართლო იმედები, რომ-
მელსაც მარტო სადერდელის ამ-
ლა შეუძლიან უმეცარის კაცისა
და სხვა არავითარი ღირსება არა
აქვს.

ისინი, ესე იგი, ისინი ვისგანაც
ჩვენი ბანკები ფულს სესხულობენ; 6%
გვეჯერდებიან და როგორ 5%-საც არ
დაგვეჯერდებიან, როდესაც 4%-იც სანაჭ-
რელია იმათთვისო“, ბანკებს ბ-ნი ყი-
ფიანი.

მერე ვინ უმელით, თუ კი ეგრეა.
ეგ რომ მართალი იყოს, მაღე
მტერი მოგვიკვდეს, მაღე ისინი
აისრულებდნენ თავიანთ ნატურა-
სა. მაგისათვის საგაოა აიღონ და
6%-იანი გირავნობის ფურცლის
ფასი ისე ასწიონ, რომ ათს თუ-
მანზედ სუთი, ანუ ოთხი მანათი
სარგებელი მოუვიდეთ. თუ სუთი
ენატრებათ, მაშინ ათ თუმანი გი-
რავნობის ფურცელში თორმეტ
თუმანს მისცემდნენ და თუ ოთხი—
სუთიმეტს თუმანსა, რადგანაც პირ-
ველ შემთხვევაში $100: 5 = 120: 6$

ადგილებში ხარბი ფეს ვერ იკიდ-
ებენ; ამიტომ შეუდგებიან ხოლმე
გლეხები ამ მთებს თონებით ხელში
და თან ფესის შესამაგრებელ ალაგს
იკეთებენ და თან დათესილ მიწას
სთხრან. რასაკვირველია, ამ ნაირის
წესით შემუშავებულს მიწას დიდის
მოსავლის მოყვანაც არ შეუძლიან.
რაც უნდა რბილი და თხელი იყოს
ნიადგი, ყოველს შემთხვევაში უბრა-
ლო თონს—მეტადრე მოხუცებულის
და ბაღების ხელში, — არ შეუძლიან
იმისი მთლად ამოთხრა და შენძრევა.
სახნისცა და თონიც სთხრან მიწას
იმდენად, რომ შიგ ჩათესილი მარ-
ცვალი ფრინველების ასაკენკად არ
გახდეს. კარგი კიდევ, რომ ყოველად
მადლიანი ჩვენი მიწა არა ჯიუტობს
და ცოტად თუ ბევრად მაინც მოსა-
ვალს იძლევა.

სთესავენ გურულები ღამსა და
სიმინდს. ამ მცენარების მოყვანა სწო-
რედ რომ ვაგება. თონხა-ფიწელა-
ფოცების შემდეგ, გურულმა უეჭვე-
ლად უნდა გამარგლოს ყანები და
სამჯერ მაინც უნდა გათონოს; თუ
მეტი არა, ნაკლები არ შეიძლება,
თორემ ზღვასავით მოდებული ბალა-

ბი სრულიად ჩაწთქავს ყანასა. აი
შემოვიდა ნათესი და დიწყო „კრე-
ვა-ტუნა“, — თუ მეტად არა,
სუთჯერ მაინც უნდა შემოაუა-
როს თითო თავ ღამსა და თითო
ტარო სიმინდსა. მთიან გურიაში მთე-
ლის წლის სარჩო გლეხმა სამჯერ
უნდა გადაიტან-გადმოიტანოს თავის
ზურგზედ გოდრებით: პირველად მი-
აქვს კალოზედ, სადაც სიმინდს არ-
ჩვენ და ღამს აგროვებენ, კალოე-
ბიდგან „ნალიებში“ და სასიმინდო-
ებში, რომელიც თითო ყანებშია გა-
კეთებული, ბოლოს ყანებიდგან შინ.
როდესაც ღამს საჭმელად ხმარო-
ბენ, ქალებმა ერთი ამოდენა დრო
კიდევ უნდა მოახმარონ მის გაკეთე-
ბას. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მთის
ხალხმა სახლის საძირკველში ჩასა-
ყრელად ყოველი ქვა და უკანასკნელი
„კენელი“ (წერილი წნელები, რომ-
ლითაც შენობას ჰხურვენ ხოლმე)
უნდა გამოიტანოს თავის ზურგზედ
„მაგი ტყის შუა-გულიდგან და შორე-
ულის მდინარის ნაპირიდგან; დაუმა-
ტეთ, რომ ყოველის ნაბიჯის ვალ-
დებზედ წინ თონხა და არნადს უნ-
და მიიმძღვინებდეს, რომ არ დიმი-
ტრეს, — და მაშინ წარმოიდგენთ,
როგორ ებრძვის გურული ბუნებასა.

და მეორეში - 100: 4=150: 6. რატომ არ იძლევიან, თუ 5% და 4% მათთვის სანატრელია?

ამას თავი დავანებოთ და ერთი ეს ვკითხვით ბ-ნს ყოფიან: სად ეგულებს მაგისთანა ბოღაზი ფულისა, რომ 5% და 4% სჯერდებოდნენ სარგებელად? თვითონ სახელმწიფომ, რომლის სახელი და ქონებითი შეძლება ისეთია, რომ ჩვენი ბანკები მთელის თავისის ავლა-დიდებით მასთან მტკვრად არ გამოჩნდებიან, — თუ კი სახელმწიფომ, ვამბობთ ჩვენ, სესხი ვერ იშვავს 6% ნაკლებ მთელს ვერო-ვაში, ჩვენმა ბანკებმა 5% და 4% როგორ უნდა იშვავოს! ეგრედ წოდებული „ოქროს რენტა“ რა დაჯდა ხომ ყველამ იცის, რომ სხვა არა ვსთქვათ-რა. ერთს იმისთანა სახელმწიფოსაგან ადებულს ვალს ვერ გვაჩვენებენ, რომ 4 1/2% ნაკლებ დასჯდომოდეს და ჩვენ ბანკებს კი ეუბნებიან: რატომ 4%, თუ 5% ფულს სესხად ვერ მოუღობენო!... ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ ფულის ვატრონისათვის 5% და 4% სანატრელია!... თუ სანატრელია, „ოქროს რენტა“ რად დაუჯდა სახელმწიფოს 6 1/2%? სად იყვნენ მაგ 5% და 4%-ის მონატრულნი ფულის ვატრონები? სიზმარში ნახულნი თუ არიან. ჩვენ ამას ვჩივით, რომ სიზმარს რა ხელი უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში?

თავად - აზნაურთათვის დაწესებული სახელმწიფო ბანკმა ძლივ-ძლივით შესაძლოდ დაინახა 5%-დ ფულის შოვნა და ჩვენს ბანკებს კი ეუბნებიან: არამც თუ მაგ სარგებლით, მაგაზედ ნაკლებითაც ნატრულდობენ ფული გასესხონ და თქვენ კი ვერ მიგივნიათ ადგილიო.

სარგებელი ორის ნაწილისაგან შესდგება: ერთი სარგებელი სამატისა (процентъ роста) და მეორე სარგებელი საფრთხილობისა (процентъ риска). რაოდენადაც ვალის ამდები სანდოა, იმა-

ყოველ გაზაფხულის დამდევს გურული მუშა თავის თავს ორ ცეცხლ-შუა ჰგონობს. პირველად ის ანგარიშობს, თუ რამდენი ქვეა მიწა უნდა დათესოს, რომ მომავალ წლის მოთხოვნილებასა და ხარჯს პასუხი გასცეს. ანგარიშობს და თადარიგს ისე იქცის, რომ მოსავალი საკმაო იყოს თავის ჯალაბობისა, შინაურის ფრინველებისა და საქონლისა, სტუმრებისა, გარდასახადისა, მკვრი-სა და სხვა ამ გვარისათვისა. ამ ანგარიშით იმან უნდა დათესოს თითქმის სულ რაც მიწა აქვს და თუ არ ეყო, საღალოდ უნდა აიღოს მიწა. მეორე მხრით, ის კარგად ჰხედავს, რომ ამდენის დათესვას და მოვლას ვერ აუვა. რა ქნას? არ იცის, როგორ მოახერხოს: არ დათესავს იმდენს, რამდენის მოვლაც არ შეეძლება, კარგად იცის, რომ მარტივად და აპრილად უმჯობესად უნდა ხელი მიჰყოს სარჩოს, ყიდით ან სესხებით, მოპოვებას. თუ დათესავს, საჭიროებისა და გვარად, მაშინ ყველას ვერ მოუვლის და ყანები წაუფლენ. ჩვენში ძლიერ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხი დათესვით კი დასთესავს ხოლმე, მაგრამ ბალახი ხშირად ისე ერევა, რომ მოსავალი სრულიად უფუტდება. ამას

დენად ეს საფრთხილობელი სარგებელი ნაკლებია და იმოდენად ნაკლებ უჯდება ნასესხები ფული. თუ სახელმწიფო ბანკს 5%-იან გირავნობის ფურცლებით შესაძლოდ დაუნახავს ასზედ ასის ნადღის ფულის შოვნა, ეგ იმითომ რომ მისდა მიმართ იმ ნაწილს სარგებლისას, რომელსაც ჩვენ საფრთხილობელი ვუწოდებთ, ადგილი ან სულ არა აქვს, ან თუ აქვს, ძალიან ცოტა. ეგრედ უნდა იყოს, იმითომ რომ ჯერ სახელი სახელმწიფოსა რა არის ნდობის მოსაპოვებლად და ამას ზედ დაუმატეთ კიდევ მისი ქონებითი ძალა. სულ სხვაა კერძო ბანკი, მერე იმისთანა ბიზნესზედ შორიდა სუსტი, როგორც ჩვენი ბანკებია. აქ საფრთხილობელი ნაწილს სარგებლისას შესანიშნავი ადგილი უჭირავს. რადგანაც ამისთანა ბანკს ისე არ ენდობიან, როგორც სახელმწიფოს სახელით შემოსილს და მიუღობს სახელმწიფო ქონებით დახატარიგამებულს. ამ საფრთხილობელის ნაწილად დღეს ბიზნესს ნასესხებ ფულში სახელმწიფო ბანკზედ 1 3/4%-ს მეტს გვპირდებიან ჩვენ, თუ მხედველობაში მივიღებთ აწინდელი კურსი ჩვენის გირავნობის ფურცლისა, ესე იგი, ას მანათიანში 97 მანათი.

ესეა ვიკითხვით: თუ გარემოება ფულის ბაზრისა ესეთია, ნუთუ ძალიან სათაკილოა ჩვენის ბანკებისათვის, რომ მათ 1 3/4%-ით ნაკლებ ენდობიან, და ამითომ ნასესხს ფულში მაგოდენად მეტს ართმევენ, ვიდრე სახელმწიფო ბანკსა!... გარდა ამისა, ესეც ვიკითხოთ სახეში, რომ ჯერ, როცა ჩვენი ბანკები ექვს მანათს ჰპირდებიან წელიწადში და 97 მანათზედ მეტს ფულის ბაზარი მაგ სარგებლით ფულს არ აძლევს სესხად, 5 მანათი რომ გამოაცხადოს, რაღას მისცემენ? აბა მოიფიქრონ ეგ იმით, ვისაც ჰკონიათ, რომ სარგებლის მეტ-ნაკლებობა მართლ სესხის ამდებზეა, ესე იგი, ამ შემთხვევაში ჩვენს ბან-

ქანთან აქ «ყანის წასვლას», დაკარგვას. ამ ორ ცეცხლიდან იხსნის გურულსა «ნადის» იმედი. ნადს იმას ეძახიან ჩვენში, როდესაც ყველა მეზობლები ერთს დღეს რომელსამე გაქირებულს და წასასვლელად მომზადებული ყანის პატრონს, მიეშველებიან ხოლმე იმ იმედით, რომ ესეც გაქირებულს თავის მეზობელს ამ ნი-რსავე სამსახურს გაუწევს. ეს ჩვეულება მეტად სასარგებლოა ჩვენში. „ნადის“ დახმარებით გლეხი სთესავს, უფლის და ინახავს ყანებს, თუმცა ნადი მას არც იაფად უჯდება.

ეთქვათ, გლეხმა დათესა ყველა მიწები, რამდენიც თავის ანგარიშით საჭიროდ დაინახა, — საქმე მაინც საუთუთოა. იქნება ანგარიშში როგორმე შესცდა, ვერ გამოიანგარიშა დაწერილებით ყველა მოსალოდნელი გასავალი, ან კიდევ შემთხვევა მომავალ წელში რამე ფათერაკი; იქნება განრისხდა ბუნება და არ მოვიდა ნავარაუდები მოსავალი, — მას ჩამოუვარდება ოჯახში სიმშობილი და გაცხარებულის მუშაობის მაგივრად ის დარბის, დამშეულის ცოლ-შვილისათვის სადმე დღიური ლუკმა იშოვოს.

ხშირად ხდება ხოლმე მთიან გურიაში ყანების „დამქანება“, ე. ი.

კებზეა დამოკიდებული და არა სესხის მომცემლებზედაც, ესე იგი, ფულის ბაზარზედ. ასზედ ექვს მანათს სარგებელს ჰპირდებიან და ფულს ძლივ-ძლივით მოუღობენ, მოსულან და იხსიან, ხუთი და ოთხი დაჰპირდით და ნატვრით მოგაყრიან ფულსა. ვისი შეცდენა უნდათ ამითი, არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამისთანა სიზმრით პირს ჩაიტყბარუნებს უკმი გაცი და საქმიანიკი არ აჰყვება, რადგანაც ამისათვის არც ხელისი და არც მოცალეობა ექმნება.

ბოდიშს ვინდით მკითხველების წინაშე, რომ სიტუცა გრძობად მოგვდის და ჩვენის დაპირებისამებრ დღეს ვერ ვათავებთ დაპირებას ბ-ნ დიმიტრი ყოფიანის წერილის გამო. ამ წერილის თავშივე ვსთქვით, რომ რაც უფრო ვუკვირდებით ამ წერილს, მით უფრო ბევრს გასახსნევს კანქა ვპოვებოდით. ამ კვანძების გახსნას ხელს არ მოვკიდებდით, რომ მაგ კვანძებს ისეთი ფერ-უპირილი არ ესვას, რომელსაც, როგორც უოველს გარეგან მიღეს-მოღესვას, მართლ ერთი დირსება აქვს, მართლ ერთი უნარი: ცდუნება ბეცის თვალისა. საზოგადო საქმეში ამისთანა ფერ-უპირილიანი აზრები, კარგილი ტუბილ-ტუბილი და თბილ-თბილი სიტუცები ვნების მეტს ვერას იზმენ, შესაწერებელი არ უნდა იყვნენ და ამიტომაც იძულებულ ვართ ეს უსიამოვნო და უმადური შრომა კიდევ განვაგრძოთ და ეგ ფერ-უპირილი ჩამოვანათ. ვითხოვთ ბოდიშს მასზედ თუ, — იქნება ბ-ნ ყოფიანის წერილს ორი თუ სამი მეთაური წერილი კიდევ მოვანდომოთ.

ხოლო ვიდრემდე ამ სარგებლის მეტ-ნაკლებობაზედ ჩვენს სათქმელს სრულად ვიტყოდეთ და გადავიდოდეთ იმ „ორიოდე სიტუცაზედ მამულის გაუყიდებლობის“ შესახებ, რომელიც ყველაზედ მომეტებულია მცადუნებელია უმე-

ადრე აცივების გამო ყანა ვერ ასწრობს შემოსვლას; მაშინ აქ საერთო სიმშობილი ჩამოვარდება ხოლმე, მაგრამ სხვა-და-სხვა ნირობა ჩვენის ნი-დავისა და ბუნებისა აქც შევლის საქმეს. როდესაც მთებში „მქანობის“ გამო მოსავალი ხდება, ეკვეში მაშინ ერთი-ორად მეტი მოდის ქირახული; ეკვლები, თუმცა სასყიდლით, მაგრამ მაინც აწვდიან ლუკმას დამშეულ მეზობლებს. ხშირად იცის ხოლმე ჩვენში ბუნებამ გაღიმებაც და მაშინ აივსება ფოთისა და ბათუმის გემები ჩვენბურის სიმინდით (ლომი არსად არ გააქვთ). აი ამ გვარ შემთხვევებზეა დამოკიდებული გურიაში ხვნა-თესვის სვე-მედი, გურულების ეკონომიური კეთილ-დღეობა.

გარდა სიმინდისა და ლომისა, ჩვენში არც ერთს მინდვრის მცენარეს არა სთესავენ, თუმცა ბევრმა მაგალითებმა ცხადად დაამტკიცა, რომ მთიან გურიაში სამაგალითო პური და ქერი მოდის, ეკვეში კი ბრინჯი. უსამართლობა იქნება გურული გავამტყუნოთ ამ საქმეში და მას დაუდევრობა შევწამოთ. სადა აქვს მას იმდენი მოცლა, რომ გამოუდგეს სხვა-და-

ცართათვის, საჭიროა ზოგიერთს საკითხავზედ ვასუხი მივიღოთ. ეს საკითხავები ცალკეად არის ანუ სული და დეპუტების წინ დაბეჭდილი დღევანდელს ნომერში.

ახალი ამბავი

* * ჩვენ ნამდვილად შეეკეტეთ, რომ ლავიეს, სემინარიის რექტორის მკვლელს სამხედრო სამართლით განასამართლებენო.

* * ორშაბათს, 26 მაისს, საღამოს 10 საათზე ორი დაღუპული და შექვიფიანებული კაცი მოდენილა იმ დროს, როცა ორი მატარებელი ერთი-ერთმანერთს დაუბირდაბირდნენ. ერთ მატარებელთაგანზე მჯდარა გამოუცდელი კურჩი და ახალ-გაზდა კონდუქტორი, რომელმაც დროზედ ვერ მოახერხა თურმე ალვის (ტორმასის) გაკეთება და ამის შედეგი ისა ყოფილა, რომ ერთი სულ გაუწყულეთა და მეორისათვის ფეხი დაუშავებია. ეს საქმე გამოამიხებელს გარდაეცა და ცხენის-რკინის გზის გამგებანს კი არა თუ მართლ დაწამავე კურჩრა დაკონდუქტორი, 11 კიდევ სხვა ახალი გამოუცდელი კონდუქტორი სამსახურიდამ დაუთხოვინა.

* * ჩვენის დრამატულ დასის არტისტები ზაფხულობით უკველთვის ცუდად არიან ხოლმე, და იძულებულნი არიან წარმოადგინებნ თავი დანებონ, რადგანაც შემოსავალი გასავალს არ ასდის. ამის გამო, როგორც ამბობენ, რამდენსამე მათგანს განუზრახავთ ამ იენისის პრევილიდან სხვა ქალაქებისკენ გაემგზავრნენ და იქ წარმოადგინონ ხოლმე. ეს მით უფრო სასარგებლოა, რომ ტფილისზე შორს მცხოვრებელ ქართველებსაც საშუალება ეძლევათ ჩვენის ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ არტისტების თამაშობის ხილვისა. მაგრამ, საუბედუროდ, არტისტები უფრო იმისთანა დიდ ქალაქებს ეტანებიან, როგორც არის ქუთაისი, ბათუმი,

სხვა უცხო მცენარეების გავრცელებას. ეს ახალი საქმე მოითხოვს მეტს ცოდნასა და მეტს შრომას; ეს კი სრულიად მოუხერხებელია გურულებისათვის, რომელნიც უმისოდაც მუშაობას ვერ აპყვიან. გლეხი რომ თავის მამა-პაპულ სიმინდსა და ლომს მოშორდეს, თუ გინდ ერთს წელიწადს, და ბრინჯსა და პურს დაუწყოს თესვა, მერე ხომ ამოწყდა სიმშობილი, რომ ეს ახალი მოსავალი არ მოუვიდეს, რაც პირველად აუცილებელია თითქმის? რომ კიდევ მოუვიდეს მოსავალი, განა გამოიყენებს ოჯახში საზრდოდ და სახმარებლად? ამ შემთხვევაში საჭიროა სხვისი ხელი, რომელმაც ხალხი თან-და-თან უნდა შეაჩვიოს ახლის სიმდიდრის მოყვანას და სხვა გვარად ცხოვრების მოწყობასა.

ბოსტნეულ მცენარეთაგან გურიაში დიდს პატივშია ლობიო; ეს მაღლიანი მცენარე შეუცვლელი სამარხო საქმადია მთელს გურიაში. აქ სხენებაშიაც არ არის არც კომპოსტო, არც კართოფილი, არც სტაფილო, არც ხახვი და არც სხვა ამ გვარი ბოსტნეული; მხოლოდ სურების სა-

ფოთი, სადაც იმედი აქვთ, რომ შემოსავალი ექნებათ. კარგი იქნებოდა, რომ ერთის კვირით მაინც სწვევიყენენ თელავს, სიღნაღს, ოზურგეთს და სხვათა მცირე ქალაქებთა, სადაც ხალხიც სიამოვნებით მიიღებს, რადგანაც მთელის წლობით არიან მოკლებულნი ამ გვარ გასართობს, და თითონაც ისარგებლებდნენ. არტისტებს განუზრახავთ, ვიდრე წავილდნენ სადმე, ერთი წარმოადგენა კიდევ გამართონ ტფილისში. ეს წარმოადგენა 1 იენისს იქნება არწრუნისეულ თეატრში. წარმოადგენენ ლ. კომოლლეტის დრამას «დაი ტრეზა», ანუ მონასტრის ზღუდეთა შორის.»

* * როგორც ამბობენ, ამ ცოტას ხანში კავკასიაში ჩამოვა ახალ-გაზდა პოლიტიკეკონომი, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის პროფესორი პ. კარიშვილი განსაკუთრებით იმისთვის, რომ ადგილობრივ გამოიკვილოს «ხიზნების საქმე».

* * სოხუმშიდგან მოუწერიათ, რომ გუმბიტინის განყოფილების უფროსს უზოვინა ერთი ვერცხლის ფული, რომელზედაც გამოხატულია რომის იმპერატორის მარკა ავრელი-ას პირი-სახეო. იმპერატორის სახელი ფულს ლათინურად აწერია. ეს ფული ამ უფროსს აფხაზეთში, განთქმულ პიჭუნდის მონასტერში უზოვინა.

* * გუმბიტინის ნომერში შენიშნა იყო: ჩარჩები მეიდანში ყველისა და ერბოს ყიდვას აღარ აკლიან ქალაქის მიდევლებსა იმ მიზეზით, რომ ბაზრის ზედამხედველები ცხრა-ათ საათზე მადიანო. ბაზრის ზედამხედველები იქნება რვა საათზედაც მოდიოდნენ, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ რომ სოფლის გამყიდველების სულთა-მხუთავი ჩაჩები და კინტოები დილის ოთხ-საათზე იყრიან. რა ხდება მათ შუა, რა ცემა-ტყემა და ძალით წართმევაა გასაყიდ ხორაგისა, — ეს ამბავი ლავრენტი არაღზინის მეგლან-უაშვილსაც სიზმარში არ უნახავს. ამ სახით მთელი ხორაგეულობა, ყველი და ერბო დილის ექვს

ზოგადობიდან ამ ბოლოს დრომდის მოდიოდა დიდ-ძალი კართოფილი; იმდენი მოჰყავდათ აქ ეს ბოსტნეული, რომ აქმაყოფილებდა ჩვენის მხარის მოთხოვნილებასა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლოს დროს აქაც შეასუსტეს კართოფილის თესვა; მხოლოდ იმდენილა მოჰყავთ, რაც შინაობაში სახარჯად სამყოფია. ამის მიზეზი ძლიერ გასაოცარია. მთელმა გურიაში კართოფილის გამოყვად აიღო საცოდავი სურებები; უგონებდნენ ათას-ნაირ სამასხარო სახელებს, რომელთა დასაწყისი ანუ ბოლო შეიცავდა სიტყვას „ქართობილი“. გულ-ჩილიმა სოფლებმაც დაცივის თავიდან ასაცდენად სულ მოსპეს ამ სასარგებლო მცენარის თესვა. — კომპოსტო და სხვა ბოსტნეული კარგად მოჰყავთ ჩვენში დროებით მცხოვრებთ უცხოელებს. მე არა მჯერა, რომ ჩვენმა მდიდარმა ნიადაგმა გვითხრას უარი და რა მცენარე უნდა იყოს, არ მოვიდეს; ხოლო ამისთვის საჭიროა ცოდნა და განათლება.

აქ არას ვიტყვით ვენახების შესახებ გურიაში, რადგანაც ეხლა არც სახსენებელია და არც ყურადღების ღირ-

სათამაშო სულ გაყიდულია ხოლმე. მაგრამ მზრის ზედამხედველები ეტყობა მედანზე არაა, განა მართლა თვალყურით უჭირავთ, და ხელს უშლიან ჩაჩხვებას და კინტოებსა? არა, — თუმცა კარგა იცნობენ ამ კაცებსა, და მოგზავნილ მედველებსა, მაინც თვალს არიდებენ, და რო ჰკითხოთ, რათა შერებოთ ასეო, გიბასუხებენ: ოხთში ვერ მოვიდითარო, კაცები არა გეყავს გამრეკო; ასეთი ავახაკები არიან ეს ჩაჩხვები, რომ სასიკვდილოდ არ გვიღობენო, რა ვქნათო თითო ხელმა კაცმა, პოლიციის „გოროდოვებს“ თავისი საქმეებიც სხვა აქეთა და ჩვენ ვერ ვიშველიებთო.

სწამს ორი მიზეზია მზრის უწყობის: ერთი თით ზედამხედველების უთაურობა და მეორე სიცოტავე მოხელეთა. ქალაქის გამგებამ ნუ თუ ესეები არ იცის?

* * * მისის 26 სამეურნეო საზოგადოებაში წინადადება შეიტანა ბ. დინგელშტეტმა ტფილისში სამეურნეო გამოფენის თაობაზედ. იმის აზრით, ისეთი გამოფენა უნდა გამართოს, რომ ყოველ-გვარ სასოფლო წარმოებას ადგილი მისცეს და თვალწინ წარმოვიდგინოთ ეხლანდელის მეურნეობის მდგომარეობა. ამაზე ბაასი გაიმართა, რომ ეს ფრიალ ერცელი და ძნელი საქმე იქნება და ისევე სჯობს მხოლოდ ხორაველობის და ლენის გამოფენას დასჯერდეთო. დიდის ხნის ბაასის შემდეგ კომისია დანიშნა პროგრამის შესამუშავებლად.

* * * თიბათვის თხუთმეტს ემიხაძინში იქნება მირონის კურთხევა, რომელიც შეიღწევიდა წინა წელს არის ხოლმე და დიდ დღესასწაულად მიიჩნია სომხობას. ამ დღესასწაულზე დიდ-ძალი მლოცველი თავს იყრის ემიხაძინში, სხვა-და-სხვა ქვეყნიბიდან მოსული. ამისათვის ყოველთვის ემიხაძინიდან მიდის ყოველ სომხის ეკლესიაში განცხადება, რომლითაც კათალიკოზი იწვევს მსურველთა დღესასწაულზე დასწრებისათვის. მირონის კურთხევა სომხის სარწმუნოების ეკლესიებისათვის მხოლოდ

სი-ლა. ოც-და-ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ნაცარი შეუპოვრად ეომება ჩვენს ვაზს და არამც თუ მტევნებს და ფოთლებს არ არჩენს, არამედ ძირშიაც კი ახშობს. ჩვენში ვენახის შემუშავებისთვის აღარავინ თავს აღარ იცნობს: ყველამ დაპყარა იმედი. დარჩა მხოლოდ ყოველის მხრით მოძულეებული «ადესა», მაგრამ ამის წინს ხომ ღებოდ არავინა სთვლის და არც არის მართლა ჩასათვლელი. ბაღების ხსენება არსად არის ჩვენში.

არას ვიტყვით აგრეთვე შინაურის საქონლის მოშენებაზედაც, რადგანაც მთელს გურიაში იშვიათად შეხვდებით, რომ ერთს კაცს ორი ძროხა და ერთი ცხენი ჰყვანდეს. ცხენისა და თხის ფარა აქ სრულიად არ იციან რა არის. გურულს რომ უნდოდეს საწინდ მატყლის ყიდვა, ან დანის სატარედ თხის რქა, უეჭველად ქალაქისაკენ უნდა გასწიოს და იქ იყიდოს. არ მოჰყავთ ბამბაც, თუმცა ნიგოთის ორივე კალთაზედ მისი მოყვანა ადვილად მოსახერხებელია. ამის გამო არავითარი ბამბეული და მატყლეული ჩვენს სოფლებში არა კეთდება. ამ თუთის ქვეყანაში თუმცა მოჰყავთ აბრეშუმში, მაგრამ ძლიერ ცოტა და არც ფასი აქვს ჩვენს ბაზ-

ლოდ ემიხაძინშია და შემდეგ ეგზავნება ყოველ სახისკოპოზო უწყებას. ამათგან, წელს მირონის კურთხევის შემდეგ იქნება მსოფლიო კრება სომხის ეკლესიისაო.

* * * 28 მასის დამკს, პოლიციის 5 განყოფილებაში სამ უცნობ შინს ჩსუბა მისკლით ფეთხანის ეკლესიის ფარულთან სხარკეთის ქვეშევრდომ ანაუბიმ მარდინოსთან, სხარკლით დაუჭრიათ და გაქურდულან. დაჭრული სამეურნელობისა გავსავნიდით. დამნაშავეთა დასაჭრად დონის-ძიებას მიადებულა.

* * * 27 მასის, პოლიციის 7 განყოფილებაში თამამშოვის წისქვილთან მტკვარს გამოეგდია დარბობის გარეს გვაში. როგორც გვაში ეტყობოდა, აქაურმა მცხოვრებელმა უნდა ყოფილიყო. დამნაშავე 60 წელზე მეტსა ან იქნებოდა. დამნაშავეს განკუთმეველებს ნაშინა ანა ეტყობოდა-რა. გვაში მიწას მიანარეს.

დამაკვირდი!

ადამიანთა სამი მეოთხედი ნაწილი მაჰმედანა მათი, ვისთანაც სცნობენ. (სურეჟი)

გულს მოსვენებას ისე ანა მიანატკებს-რა, როგორც განსუბითი გარჯა. (ბუხარა)

ადამიანები კრთმანთში დიდხანს ვერ მოთავსდებიან, თუ რომ ერთმანეთს არ ატყუებდნენ. (დარბიშუჟი)

ამ უმაღ კაცთა მინდობა ამხანაგთაგან მსკლია:
საწადლის შირთა გამთავე საქმით ანა სხანს მქნელა;
რომელიც მშვიდი გგონია, ის სურსთა მოძიებელია,
მუცლის ღსინად და ნადიმად უხანს საქმენი ბსკლია. (შეჟი აბსტან VI)

სჯობს სივლასკე სიმძრთლით ცრუს დიდსა გამდიდრებასა, მტკობავე სჯობს მოყვრისას ცრულ სიტყვით მიფრებას. (ანდოლ მუჟი)

რებში, რადგანაც ჩვენში უხვირო აბრეშუმში კეთდება. შინაობაშიაც ვერა ხმარობენ აბრეშუმს რიგინად, — აღარც ძველებურ შილაიებსა და ფარჩების ქსოვას შეხვდებით დღეს ჩვენში.

* * *

ძველის დროდამევე გურულები ძრიელ მისდევდნენ ფუტკრის მოშენებას. ეს მწერი ძველად ძლიერ იყო გავრცელებული და დღესაც, თუ სადმე კიდევ მოიპოვება, უფრო მითან გურიაში, ვიდრე ვაკში. ფუტკრის მოშენებას ყველაფერი ხელს უწყობდა გურიაში: ათას ნაირი თაფლითა სხესე ყვავილები, თბილი ზამთარი და სხვანი. უნდა შევიწინოთ, რომ გურიის ყოველ ნაწილში ერთ ნაირად არა ხვირობდა ფუტკარი. ამ შემთხვევაში ყველაზედ პირველი ადგილი ეჭირა და დღესაც უჭირავს სოფელს სურებს. ბევრი არ მოიპოვება დედა-მიწაზედ იმისთანა შესაფერი და ფუტკრისთვის საკეთილო ბუნება, როგორც სურებშია. აქაური ტყეები ნახევარ ვერსის მანძილზედ გასებულა ცაქხეებით, რომელთაც სასიამოვნო და ტკბილ-წვენიანი ყვავილები აქვთ. აქ მარტო ამ ყვავილებ-

ნარკვევი

(ყურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის გაზეთები ენდა ერთ-ბმივ ამბობდნენ, რომ გლადსტონ-ნი გაიმარჯვებს ირლანდიის საქმეში და თავის კანონს გაატარებს პარლამენტში, თუმცა ბევრი დაბრკოლება მოეწიოს ჯერ კიდევამო.

გლადსტონის გამარჯვება ჩვენთვის სასურველიაო, ამბობს გაზეთი «С.-Петербургскія Вѣдомости». თუ ეს გამარჯვება მოხდა, ჩვენ იმედი უნდა გიქონიოთ, რომ ინგლისის სახელმწიფო საქმეების მეთაურობა და გამგეობა კიდევ დიდ ხანს დარჩება ლიბერალების დასის ხელში და მაშინ თითქმის შეუძლებელი გახდება, რომ მთავრობის წინამძღოლობა ხელში ჩაუგდონ მოუსვენარ და დაუცხრომელ რუსეთის მტერს სალისბურსაო.

გაზეთი «Новое Врѣмя» ამის შესახებუე ამბობს:

გლადსტონმა ჯერ-ჯერობით პარლამენტის უმეტესობა თუნდაც ვერ მოიპოვოს თავისკენ, მაინც გამარჯვება კიდევ ამას დარჩებაო. თუ აწინდელი პარლამენტი წინააღმდეგ მის კანონპროექტს ირლანდიის შესახებ, ეჭვი არ არის, გლადსტონი ამ პარლამენტს დაითხოვს და ახალ არჩევანებს დაჰწინავესო. ახალ არჩევანებით კი ინგლისის ერთ ისარგებლებს და ეცდება პარლამენტში ისეთი გაცემა გამოგზავნოს, რომელიც მხარს მისცემენ გლადსტონსა და მის თანამოაზრეთაო. ინგლისის ერთ მხარს მისცემს გლადსტონს, რადგანაც ინგლისის ერს და მეტადრე მუშა-ხალხსა და სოფლებს არ დაჰვიწყებიათ, რომ გლადსტონი მათი მფარველია, რომ გლადსტონმა მიანიჭა მათ პოლიტიკური უფლებაო.

ყოველად საქებურია ამ გაზეთების მხრივ, რომ ასე თანაუგრძობენ მართალ საქმესა.

* * *

რამდენად გატაცებული არიან ბოღგარები სახელმწიფო საქმეებით, შემდეგი მაგალითიდანა სჩანს. აი გაზეთი «Новости» რა ახირებულ ამბავს მოგვითხრობს:

სეოლა-კი შავრდებს, რომელთაც ვერ წერა-კითხვაც რიგინად ვერ უწყავ-

საც შეეძლოთ საქმარისი საზრდო მიცვათ ფუტკრისთვის, მაგრამ ამას ზედ ემატება კიდევ უფრო ბევრად უტკბესი, მთელ სოფელში გავრცელებული ყვავილები წყავისა (Лавровишня). მშენიერს სანახავს წარმოადგენს ზაფხულობით ეს სოფელი. მთელ სოფლის არე-მარეში დატრიალებს სხვა-და-სხვა ყვავილების სუნენლება; მთელი ჰაერი ამ სუნენლობით არის შეზავებული და პირველს ნახვავედ სულით და გულითა გსურს ამ სიტკობებს მიეცე თავ-დავიწყებით, მაგრამ მალე მეტის-მეტად ტკბილი სუნი, მეტადრე როცა ყვავილები ძლიერ გადამქნარია, გულს გიღონებს. ამ დროს გაისმის ტყეებში და სოფლებში შეუწყვეტელი გუგუნე მუშა ფუტკრისა, რომელიც ირევა, მიდის-მოდის და სკაში ყვავილების მტვერი მიაქვს. რამდენსამე წლის წინად იშვიათი იყო სოფ. სურებში იმისთანა მოსახლე, რომელსაც რამოდენიმე ათი სკა არა ჰქონდა; ოთხასის და ხუთასის სკის პატრონიც კი თითით ჩამოსათვლელი არ იყვნენ. ფუტკარი უმეტესს ნაწილად ტყეებში ჰყავდათ; მთელი სოფელი ან რამოდენიმე ოჯახი ერთად გააკეთებდნენ ხოლმე უფრო მოხერხებულ

ლიათ, მასწავლებელი ჰკითხავსო: რომელია თქვენგან კონსერვატორი, რომელი კარავდლოვის მომხრეო?...

აბა ერთი გვითხროთ, სკოლაში პოლიტიკას რა ხელი აქვს!

* * *

ჩვენი ხალხი ძველის დროდამევე უველის კეთებას მისდევს და ბევრს უველსაც აკეთებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ხერი და გამორჩობა კი არა აქვს. თითქმის მუქთად ჩვენი უველი სხვის ხელში გადადის. აი ენდაც ვიდაც ბერძნები მოსულან ჩვენ ქვეყანაში, უიდელობენ თურმე ჩვენს უველს, ფუტს თითო-ოროდ მანათად, წვრილ ნაჭრებათა სჭრიან, ერთს დიდს ქვაბში ჰყრიან და ხელ-ახლად ადუღებენ; ამ ნაირად მომზადებული უველი სამზადვარ გარეთ გააქვთ და იქ ფუტს 6-8 მანათად ჰყიდიან.

ამ სახითაო, ამბობს გაზეთი «Новості», უველის კეთება; ეს გამოსარჩენი მრეწველობა, უცხოელს ჩაუგდიათ ხელში. ნუთუ რას ფიქრობდნენ აქამდინ ან თითონ უველის მწარმოებელი, ან იქაური გატკობიო? როგორ აქამდინ ვერ მიხვდარან და ვერ შეუწყვიათ ის უბრალო ხერხი, რომელსაც ბერძნები ხმარობენო და რომლის წყალობითაც ეს სახეირო და სასარგებლო საქმე უცხოელების ხელში გადასულაო.

დიხს, არა ერთი ამისთანა სარგებლიანი საქმე გამოეცვლებათ ხელიდამ ჩვენს ვაჭრებს, მანამ ესენი ჰკუტს ისწავლიან. ათას გვარი სიმდიდრე ჩნდება ჩვენში და ჩვენ კი ვერა ვსარგებლობთ. ნავთი, შავიქვა და ახლა კიდევ ეს უველი უცხოელებს ამდიდრებს და აქაურს ჩვენ ვაჭრებს კი მხოლოდ ერთადერთი სიმდიდრის საშუალება უცვინათ: სასწორი და არშინი. ამითი შორს ვერ წავლენ; უველა საქმეში გამბედაობა და შრომა უნდა, უამისოთ ეს სიმდიდრე ხელიდამ წავკვივა.

ადგილას რამდენსამე სასკეს და ამრავლებდნენ ფუტკარს საამხანაგოდ. კერძოდ კი სოფლადაც ჰყავდათ ხოლმე. აგრეთვე ბევრი იყო ტყეებში გარეული ფუტკარი. ეს გარეული ფუტკრები ხშირად აკეთებდნენ ესრედ წოდებულს «კრიპუქსა», რომელსაც უბრალო თაფლი ვერ შეედრება გემოთი. რასაკვირველია, სკა სურვლებს, როგორც მთელ გურულ ხალხს, დიდს შეღავათს აძლევდა. კომლზედ რომ უყანასწენლად 30 სკა ვიანგარიშოთ, შემოსავალი, იმ თაფლისა და სანთელის გარდა, რაც შინაურობაში იხარჯებოდა—60 მანათისა იქნებოდა. ეს მცირე შემოსავალი არ არის, მეტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფუტკრის მოვლას ბევრი შრომა არ უნდება. სურებელ თაფლს აქვს ისეთი მშენიერი თვისება, რომელიც სხვა სოფლების თაფლს არა აქვს—აქაური თაფლი უწყინარია. ამ სოფლის თაფლის სახელით ხშირად სარგებლობდნენ სხვა სოფლებიც, როდესაც თაფლით თაფლის გასაღება უნდოდათ. ჩვენში თაფლისაგან ჰხდიან ძრიელ სასიამოვნო და უწყინარ არაყსა.

ასეთ მდგომარეობაში იყო ფუტკრის საქმე გურიაში ამ რამდენსამე

სახელდასელო.

(არა-უბად-ასაღები და არა-წყაღ-წყა-საღები.)

— განათლებული ხალხი ვართ, განათლებულიო, დაგიჩინათ! არა, რასშია თქვენი განათლება? ქართული ენა თქვენ თურმე არ იციან, ისტორიას ხომ რაღა თქმა უნდა, ჩვენს ცხოვრებას სულ არ აკვირდებით და სადაა მამ თქვენი უპირატესობა და განათლება? თან ხუმრობით და თან წყრობით ეუბნებოდა ერთი ძველ-ბური კახელი თავადიშვილი ერთს ჩვენში ჩამოსულს განათლებულს ნემესს. თუ იმას იკვებით, ჩემო ძამია, რომ ზარბაზნები გვაქვს და ბისმარკი გეყავსო,—ძალიან ცუდად გინებებიათ. ზარბაზნები ჩვენც გვიწყვილა არსენალოში... რომ ავიღებოთ თავი და ბაქიობთ, ვითომ და რაო?—ერთი დრო ვის არა ჰქონია, შენ ისა სტყვი, რომა... დასხენი.

ერთის სიტყვით კახელის გულის წყრობას საშეღვარი არა ჰქონდა და და სულ იმის გამო, რომ როგორ თუ ქართულ ენას არ ასწავლიან გერმანიაში, როცა ჩვენი ყმაწვილები ზოგიერთს სასწავლებლებში თავს ატყენენ ნემესსო.

— ჰე! ისიც ვერაფერი წითელი კოჭი ყოფილა, ი თქვენი ბისმარკია თუ ვილაქ! დააბოლოვა მან დასასრულ ხელის ქნევით და მოშორდა გაოცებულს ნემესს.

* * *

ეს ახირებული და თან სასაცილო სცენა წარმოამიდგება ხოლმე თვალწინ ყოველთვის, როცა მესმის, რომ უცხოელები თან-და-თან უფრო დიდს ყურადღებას აქცევენ საქართველოსაო. საქმე იმაშია, რომ შემოხსენებული კახელის სურვილი ლამის აღსრულდეს; მართალია, ქართულ ენის სწავლებას ჯერ არ უპირებენ გერმანიაში და არც ბისმარკს შეუენია მისი საქიროება, მაგრამ... მაგრამ, როგორც სწამს ზოგიერთის უტყუარის ფაქტებიდამ, საქართველო მაინც სა-

წლის წინად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს ძლიერ იკლო ფუტკრის გაშენების საქმე: ძველი ფუტკარი სწყდება და ახლის გამრავლებასკი არავინ დასდევს. ადგილობრივ რომ იკითხოთ, ამის მიზეზად ბევრს გარემოებას დაგისახელებენ; ზოგი ამბობს: ყველაფერს თავისი დრო აქვსო; ფუტკარსაც წაუვიდა დროცო და ვერაფერი კაცის ღონე ვეღარ დააბრუნებს ამ დროსაო; ამისთვის ტყუილი იქნება თავის ტენა და ღვთის განრისხებაო. ზოგი კი ნამდვილ მიზეზს ასახელებს, ესე იგი ზამთრების სიცივეს. მაგრამ ამ მიზეზს იწვევს მეორე, რომელიც პირ-და-პირაც მოქმედებს ფუტკარზედ. ეგ არის ტყეების უწყალო «ტრამვა!» მალე მოვა ის დრო, როცა მთელ გურიაში სახსენებლად აღარ იქნება თაფლი, წმინდა სანთელი და თაფლის არაყი, თუ რამე საშუალება არ ამოუჩნდება ამ ხალხის სიმდიდრეს, რომელიც გადაშენებას აპირებს.

(შემდეგი იქნება)

ინტერესო და ღირს-საქონელი შეიქნა უცხოელებისათვის. ამის დამატებით ბევრი საბუთები ეხლა ბლომითაა ჩვენში, მკითხველებმა, მაგალითად, უკვე იციან, რომ პოლშურს და ნემეცურს გახვებში დიდი ხანია რაც იბეჭდებოდა ბ-ნ არტურ ლეისტის წერილები ქართულს მწერლობაზე და ცხოვრებაზე. იციან აგრეთვე, რომ იმავე ბ-ნ ლეისტის წყალობით ბევრი საუკეთესო ლექსები ჩვენის პოეტებისა გადაღებულ არიან ნემეცურს ენაზე. ამავე ენაზე დაიბეჭდა და გამოვიდა ეხლა ორი რომანი ბ-ნი სუტენრისა, რომელმაც ამ ორის წლის წინედ მშვენიერი წერილები დაბეჭდა „კავკასიაში შოთა რუსთაველის პოეზიის გამო. მართალია, როგორც ამბობენ, ზემოხსენებული რომანები — «დარეჯანი» და «ბატონია» მეტად ცუდის მხრით ჰხატენ თურმე სამეფოელს მალალ-წოდებულთა ცხოვრებას, რომელსაც იგინი ეხებიან, მაგრამ ერთი, რომ საქმე იმაში ხომ არაა, როგორ არიან დაწერილი ეს რომანები, არამედ მასში, რომ ისინი იწერებინ და მამასადამე ჰპოულობენ მკითხველებს და მეორე, — როგორც რუსები იტყვიან, «სარკისა რა ბრაღია, თუ სახე მახინჯია». რომანებმა რა უნდა ჰქნან, თუ თვით აღწერილი ცხოვრება მართლა უგვანი და დასაწუხებელია. ბ-ნ სუტენრის ორივე რომანი — «დარეჯანი» და «ბატონია», გამოვიდა ზედი-ზედ, საი-დამაც სჩანს, რომ პირველი გამოცემა გაიყარა სრულიად. ეხლა კიდევ დაუბეჭდია ერთი მოთხრობა, სახელად «სულელი».

* *

ესეც რომ არ იყოს, ნემეცების ცნობის-მოყვარობას ჩვენის ცხოვრების შესახებ ამტკიცებს კიდევ შემდეგი ამავე: ზემოხსენებულმა ბ-მა ლეისტმა მიიღო ამას წინედ წერილი ერთი ნემეცურ ჟურნალის რედაქტორისაგან, რომელშიაც ეს უკანასკნელი სთხოვს ბ-ნს ლეისტს დასწეროს დიდი მოთხრობა ქართველების ცხოვრებიდან... რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი თხოვნა, მემრე კიდევ განათლებულ ქვეყნის მწერლისაგან, შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თხოვნის საგანი მეტად საინტერესო და საყურადღებოა მთხოვნელისათვის... ბ-მა ლეისტმა უკვე მიპყრო ხელი ხსენებულ მოთხრობის წერას, რომლის შინაარსი ჩვენ თავის დროზე, უწყველია, გავაცნობთ «ივერიის» მკითხველებს...

* *

— ფრანსიელიებო? იკითხავთ. ნუ თუ ყოველთ გულ-შემატკიავარი ხალხი უკან ჩამოიხრან ნემეცებს და ზურგი შემოგვებენ ქართველებსა? როგორ შეიძლება! ჯერ ერთი რომ თვითონ ფრანსიელიები საკმაოდ ცნობის-მოყვარე და განათლებული ხალხია, რომ ყურადღება არ მიაქციონ მას, რაც ყურადღების ღირსია და მეორე, — ეხლანდელ ფრანსიელთა და გერმანიელთ შუა ისეთი განწყობილებაა, რომ ყოველს, ცოტად თუ ბევრად, სასახლო საქმეში სტილიობენ ერთმა მეორეს აჯობოს და გასწეროს. ერთის სიტყვით, ერთმანეთს ეჯიბრებიან. ამ ეჯიბრება აქაც ირინა თავი. ჩამოვიდა თუ არა ტფილისში ბ-ნი ლეისტი, ერთად მასთან განადა ბ-ნი მურიცი, რომელიც

ლიც შეუდგა ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა გვარ-ეტნოგრაფიულ თუ არხეოლოგიურ ცნობების შეკრებას. ბ-მა მურიციმ კიდევ გამოსცა რამოდენიმე საინტერესო წიგნაკები ჩვენის ქვეყნის შესახებ და ეხლაც გულს მოდგინედ იღწვის ამ საზიებელზე.

* *

ამისთანა შრომას რომ თანამგონობლები არ მოაკლდება საფრანგეთში, ეს იქიდანაა სჩანს, რომ, როგორც იწერებოდნენ შარშან წინ აქაური გახვებები, თვით საფრანგეთის სამინისტრომ აღმოუჩინა ბ-ნ მურიცის ნივთიერი შემწეობა და დაეხმარა ცოტათი მის ნაწერებთა დაბეჭდვაში. და თუ სამინისტრო ასე იქცევა, რაღა თქმა უნდა, რომ იქაური განათლებული საზოგადოებაც უფრო ცნობის-მოყვარე თვლით უნდა უყურებდეს ჩვენს პაწია ქვეყანას. მართლაც, ამ დღეებში «ივერიის» რედაქციამ მიიღო პარიჟიდან მეტად საინტერესო წერილი, რომლის ავტორი გრაფინია კონდინი კოლონა არის და მწერალი-ქალია, უკვე ცნობილი საფრანგეთის ლიტერატურაში. ეს პარიჟიდან მიიღო ჩვენს რედაქციას. გრაფინია კონდინი კოლონა არის და მწერალი-ქალია, უკვე ცნობილი საფრანგეთის ლიტერატურაში. ეს პარიჟიდან მიიღო ჩვენს რედაქციას. გრაფინია კონდინი კოლონა არის და მწერალი-ქალია, უკვე ცნობილი საფრანგეთის ლიტერატურაში. ეს პარიჟიდან მიიღო ჩვენს რედაქციას.

ილ. ხონელი

უცხოეთი

იტალია. სასწრაფო ციებ-ცხელებს ძრეულ გაცხარებულ იტალიაში. ორი დიდი დასი შეიგდარა და თავგანწირულებით იბრძვის თურმე, რათა ქვეყნის მართვა ან ერთმა ჩაიგდოს ხელში, ან მეორემ. ერთი დასია დემოკრატისის მომხრე, გლეხობები და კონსერვატორები და მეორე დასი — რადიკალები არიან. გამონაწილი და სასწრაფო-განთქმულთ მოძღვართა ქადაგება ისე მკვერ-მკვერად არის დროს არა ყოფილა, როგორც ესწაო, წერილები გაზ. «Perse Veranza»-სი აღიბეჭდარების წინააღმდეგ ტყველებს ადგისეულებათა, მდიდრებისა და არისტოკრატების ფაფა-ფუფი და საქმიანობა მეტად დაუდალავი და ვრცელია. თავის მხრით მოწინააღმდეგე დასიც თავით იყენებდნენ შეჭურვილი გამოვიდა საბრძოლველად, უკვე-დღე აღიბეჭდარები გახე-თუბი ჰბეჭდვდნენ წერილებს და მიმართვდნენ მოქალაქეთა მამულს-შეიღობას, აცხადებდნენ დაფარულს სურვილს და ფაქტს გლეხობებისას, ამტკიცებდნენ სხეობრივ და გონებრივ სისუსტეს და

უღანობას იმ განდიდებისას, რომელიც სანსონის მოყვარულთა წარმადგინეს. ეს გაუ-პატრონები შეიგდარაში ჰბეჭდვდნენ თურმე ისეთის საშინელის დასის პატიოსანნი წარმომადგენლები შეიჭურვდნენ. აწიგვანების წინა დღეს რადიკალების წარმომადგენელს მადანში კავალეტისე უშეკრის დასმდვის წერილი დაბეჭდა ერთმა გახვებმა იმ იმედით, რომ მასთვის დაწერას კედარ მოასწრობს; მაგრამ გაზ. «სეკოლო»-ს სადამურს გამომცემმა მან დაბეჭდა მშვენიერი წერილი, საცხე პატიოსანებისა და დირსებითა.

პირველ-მისისტრობის განდიდებები არიან — კრისპია და კაროლი. ორთავეს ეკავრებათ ჯესტრად და გეშირი გერმანიასთან. იტალიაში მოწინააღმდეგეთა გამარჯვება იმის მომასწავლებელი ნიშანი იქმნება, რომ იგი სელს აიღებს საბრძოლველ შემთხვევათა პოლიტიკისაგან, უსარგებლო, შორეულ ქვეყნებში გაღაშვებისაგან, რომლისათვისაც იღუბებს ფული, მადა და ღონე, საჭირო იმისთვის, რომ იტალიის ტერიტორია შემოუერთდეს იტალიის საკრთლოსათ, იმის ნიშანი იქმნება, რომ სელს აიღებს ქვეყნის იმ გვარ უსწყო, უკვე-გვარ დირსებას მოკლებულ მართვისაგან, რომლის წინააღმდეგეც პატიოსანი ნაწილი უწინააღმდეგეთობისა დაუდალავად იბრძოდან... ქრთაში, მოსეიღვა საშინლად განაგრცელა მთავრობამ. დიდ-დასს ფულს შეუმოწმებულად ჰსარჯავდა სამინისტრო ქრთადა და მასსუდალავად. სასამოვნო სასახვი იყო ქადაგა მადანსი სადამოხედ, როცა დასებმა იბრძოლეს და ბრძოლის შედეგ ყველაფერი მაწინააღმდეგეთა. საღმმა მოასმინა ორთავე დასის ჩვენება, შრეკორტრებსაც უწი უგდა და დამტკიცეთ — და კმსადებულა თავისა მსჯავრე წარმოეთქვა 15 წლას პოლიტიკისე, იმ კაცებსე, რომელნიც დიდსხსს მთავრობდნენ და სასეაღმწიფო სომადლას საჭეს ხან აქედ მიჰმართვდნენ ხოლმე, ხან იქით.

აქამდე რაც აწიგვანი მოსდა, მათ დამტკიცდა, რომ საღმსი ფრად უკმაყოფილოა წინანდელის სამინისტროსი. აგრეთვე არც ერთმა სოციალისტების განდიდებამ მიღანში 1000 კენჭი ვერ მიიღო საღამოს ათს საათამდე. მიღანში და ღომარდისში ამ დღეს არც ერთი განდიდებტი მთავრობისა არ იქმნა აწიგულით. ვიქტორ ემანუილის გაღვრეაში საღმს დაინსა კავალეტო და დიდის ამბით მიეგება. საღმს აწიგვანების გათავებამდე ითმინა, და მერე მისცა სრული ნება თავის თავს და ალტრებით ჰქვირდა: «გაუმარჯოს იტალიასა!» მოწინააღმდეგეთა ყველა აფიშები ამ სიტყვებითვე თავდებოდა. აფიშები ურჩევდნენ საღმს: პირველმა გამარჯვებამ არ წავიტყუოთ, მოიქცეთ ისე სერსიანად, როგორც აწიგვანების დროს მოიქცით... ამ დროს «ბრძენებს» *) ჩამოიარეს განიბადლის საგალობელის თქმით... დამე მშვიდა, არავის არ სისინეს, პალკონებამდ ისისიან evviva-ს...

რომიდამ მოდის ამბები აწიგვანების შესახებ. კაროლს დიდ-დალი საღმს ირჩევს, შავაში მან 1,399 კენჭი მიიღო, თუ მასწრც დაუმატოთ შავისა, გამოვა რომ კაროლს მიუღია 9759 კენჭი. სინდრომიც კაროლის მომხრენი არჩიეს. ლეკოს და შიანესსიიც ასტიში

*) ასე უწოდებს თავის თავს დებრეტისისა და კლეოპატრების დასი.

თუმცა სამინისტროს მსჩინებას სამსჯავრონი არა ჰქონდა, ერთი განდიდებტი არჩიეს ოპონანისა. კარაკავიოსა და კონონანში სრულად გაიმარჯვა ოპონანამ. კარონანში საქალაქო აწიგვანები ოპონანის სასარგებლოდ გათვდა, ამბობენ, რომ სოფლად-გი სამინისტროს სასარგებლოდ გათვადებო. როგორც მივლიბელებმა გამარჯვეს. გენუშიაც ვერ ვერობით ბედი დემოკრატებისკენ არის, სამინისტროს განდიდებტი დამარცხდნენ. რაგვინაში დიდი გამარჯვება დარჩა მთავრობის მოწინააღმდეგე დასსათ.

ცალკე საკითხავები

(ბ-ნი დიმიტრი ყოფიანის წერილის გამო)

დავირავებულის მამულების გაუუიფველობაზედ, ბ-ნი დიმიტრი ყოფიანი ბძანებს:

«ახლა ყოველად უსაუფულო იქნება და ყოველად შეუძლებელიც არის ისეთი წესის დ დგინება, რომ დაწინდრებულ მამულის გაუიფვა არ მოხდებოდეს.»

1) როდის ყოფილს საუფულონი და შესაძლებელი?

«რომელი გონებრება და სადაური ლოლივა დაგვიშლის, რომ ვადა გადაცილებული მამული სრულის თავის შემოსავლით მოვლად მიიღოს ბანკმა თავის დროებით განარგებლებაში და როდესაც დაინახავს, რომ სრული შემოსავალი ვერ დაჰვუარავს გალსა და ვერ შეამოკლებს გალს (?) მამინ გაჰყიდოს. ამ ზომაში ან რა იქნება ახალი, რომ სხვაგან არსად ყოფილიყოს...» და სხვანი.

2) სხვაგან სად ეგულება ბ-ნს ყოფიანს მაგისტანსა ზომა-მიდებუ-ლი ბანკი?

«დროებითად ამ გვარი მამულების მოვლა და შემოსავლის მიღება, თუ ბანკისათვის მოუხერხებელი იქმნება და არც დამავსებელს კომისიას მიენდობა, შეიძლება ცალკე ადმინისტრაცია დაინიშნოს.»

3) როგორ უნდა მოეწიოს ეს ადმინისტრაცია, რაოდენი შტატი საგამო, სად უნდა იმყოფებოდეს და რასაც პატრონმა ვერ მოუარა, როგორ უნდა მოუაროს ცალკე ადმინისტრაციამ?

«ადმინისტრაციამ სრულის შემოსავლის 60% ან 70% ბანკს აძლიოს ვალის გასტუმრებამდს და დანარჩენი ზოგი თავის მოსაქმობას მოახმაროს, ზოგი პატრონს გაუზიაროს... და სხვანი.

4) 60% სრულის შემოსავლი-დამ ბანკის წილიურ გადასახადს ვერ დაჰვარავს, იმიტომ-რომ ამისათვის საჭიროა 64%. ვსთქვათ ბანკში ადმინისტრაციამ 64%. შეიტანა, დანარჩენს 36%-დამ რაოდენი ეძლევა ადმინისტრაციას გასამარჯვლოდ და რაოდენი მამულის პატრონსა? ან იქნება ადმინისტრაცია მუქტი უნდა იყოს? ესეც საჭიროა ვიცოდეთ.

ერთ-ორს გვირას მოვუცდით ამაების ვასუსს და თუ არ მივიდეთ, მეტი გზა არ იქნება, რაც არის ბ-ნ ყოფიანის წერილში, იმას უნდა, ჩვენის შეძლებისამებრ, გავუძღვეთ.

დეკემა

27 მაისს

პეტერბურგი, „Journal de St.-Petersbourg“-ი განცხობებს ნამდვილის

წყარობიდან, რომ ბურგანში არავითარი შეთქმულება არა ყოფილა; ბოლგარის მთავრის ალექსანდრეს სიტყვებს არავითარი განსაცდელი არ მოელოდა. დეტუსადეული გზა-ბიტანი ნაბოკოვი მშვიდობიანი და პატივსაცემი კაცია; შეთქმულებასე მამ იმ განზრახვით დააგდეს, რომ ამომრჩეველებსე უეღმქმედას ექონათ, და ეს მოკანებული ამბავიც იმ გვარ სსუალებად უნდა ჩავთვალათ, რომელსაც ბოლგარის მთავრობა სხე სმინად მიჰმართავს ხელმე თავის დამოუკიდებლობის გამო-სახენად. იგივე გასეთი ამბობს: თუმცე «რიტონს» საგანტომ უარ-ჰქო ტიან მინადამ მოწერილი ამბავი, ვითომ რუსეთს და ჩინეთს შორის განსეთილება ჩამგარდნილიყოს, მაგრამ ამ ორ სახელმწიფოთა შორის განწყობილებას მინც ისე გვიხატავს, ვითომ ხაქმე მინც საფაქტებლათა და შეიძლება განსეთილებაც კიდევ ჩამგარდნელ. ეს სხე არ არის: — რუსეთსა და ჩინეთს შუა ისეთი არა მომხდარა-რა, რომ საფაქტებლს რანმე მოველოდეთო.

ლონდონი. სასოგადობათა პალატამ მოკრდა წავითვის შედეგე 341 ხმის შემტეხობით 311 წინა-აღმდეგე უარ-ჰქო გადასტონის გან-პროექტი ირლანდის თვით-მმარ-თველობის შესახებ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩეპე (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნა-დამ 7:334. ქველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — ულ = 478 წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მ = 42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ. 1886 წლის ზედ-ნადები - 3. სულის-წმინდის მოსვლა — 1 ივნისს, ამავე თვისს 9-დამ იწყო 3 ეტრე-3 ა-გლოზის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის. მაისი 31 დღით არის 29 დღე სუთსაათი. წმ. ქალწი მოწამ. თოდოსისი. წმ. დავით გარესე-ლისა. ტფილისში დიდი დღეობა იციან — შთა-წმინდობა, მამა დავითის ეკლესიაში, საცა დიდ-დალი მლოცვე შევირბება ხოლ-მე. კათ. თოდოსისი და მასშიმე ებისე. ქე-შმაროტი შუა-დღე 11—59—9. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—34. მთვარე ამოდის 1—13; ჩადის 12—55 ნღ. 30 დღე, 3 ა რ ა ს ე ვ ე გ ი. ისავ დაღმა-ტფილისა. კათ. კოროლის შერინანდისა და ფელიქსისა. ქეშმაროტი შუა-დღე 11—59—21. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 2—21; ჩადის 1—4 ნღ. 31 დღე, შ ა ა ა თ ი. წმ. მოც. და ფი-ლოსოფოსისა ერმისა. სოქეს. მე-49 დღე აღდგომის შემდეგ. ნახატონი. 10 დღე თვისა რამაზან 1303 წ. კიფრისა. დაბადე-ბის დღე იმამის ჰასანის (სუნიტ. მოძღვრებ.) ქეშმაროტი შუა-დღე 11—59—33. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 3—26; ჩადის 1—40 ნღ.